პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში (სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016467; გამოქვეყნების თარიღი: 31.03.2022, www.matsne.gov.ge) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2

დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის აქტის ტიპური ფორმები №2-№5 დანართების შესაბამისად.“.

ბ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3

დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას მითითების, შემოწმების აქტის (მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების

მდგომარეობის შესახებ), შემოწმების აქტის (სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ) და უწყების ფორმები №6-№8 დანართების შესაბამისად.”.

გ) დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4

განისაზღვროს საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანო და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი, დანართი №13-ის შესაბამისად.“.

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1, დანართი №6, დანართი №7 და დანართი №8 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

ე) შემოწმების აქტის (სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ) ფორმა დამტკიცდეს დანართი №7^1-ის შესაბამისად.

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №9, დანართი №10, დანართი №11 და დანართი №12 ამოღებულ იქნეს.

ზ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №13 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 14 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პროექტი ავტორი: ბექა შენგელია